93 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

93 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №10 (7157) 15 მაისი 2026 წელი

საქართველოს ახალი კათოლიკოს-პატრიარქი არჩეულია!

11 მაისს, წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში დიდი საეკესიო კრების შემდეგ ჩატარებული ფარული კენჭისყრით, რომელშიც სინოდის წევრი მღვდელმთავრები მონაწილეობდნენ 22 ხმით საქართველოს 142-ე კათოლიკოს-პატრიარქად არჩეული იქნა სენაკი-ჩხოროწყუს მიტროპოლიტი მეუფე შიო (მუჯირი).

ვულოცავთ სრულიად საქართველოს, ერსა და ბერს ამ არჩევანს, ახალ პატრიარქს კი დიდ წარმატებებს ვუსურვებთ ერის სულიერ გაერთიანებაში.

გვწამს, რომ ახალი პატრიარქის მოღვაწეობა სიმშვიდის, თანადგომისა და ეროვნული ერთიანობის საფუძვლად იქცევა და კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას და ფასეულობებს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2026 წლის 6 მაისს გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე უძღვებოდა.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჩხიკვაძის, ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბადრი ბუცხრიკიძის და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბიძინა ბუცხრიკიძის მიერ წარმოდგენილი საკითხები.

საკითხების წარმოდგენის შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დეპუტატების შეკითხვებს კომისიის თავმჯდომარეებმა უპასუხეს.

სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შენიშვნა: ამ ინფორმაციასთან ერთად დღევანდელ „თერჯოლაში“ დაპირებისამებრ გთავაზობთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებას, რომელშიც გასულ წლებში რამდენჯერმე შევიდა შესწორებები.

აღნიშნულ დადგენილებაში მორიგი ცვლილებები განხორციელდა მიმდინარე წლის საკრებულოს 4 მარტის სხდომაზე.

ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან თემებზე მიღებული დადგენილების ირგვლივ გვესაუბრება საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბიძინა ბუცხრიკიძე.

☞3

მათ გმირებს დავიწყება არ უწერია!

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძემ ქალაქ თერჯოლასა და ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში პატივი მიაგეს მეორე მსოფლიო ომის დაღუპულ მონაწილეთა ხსოვნას, გვირგვინებით შეამკეს გმირთა დიდების მემორიალი და დავით ჯაბიძის ძეგლი.

სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადეს თერჯოლის და ტყიბულის ეპარქიის სასულიერო პირებმა- დეკანოზმა ქრისტეფორემ და მამა რომანოზმა.

მეორე მსოფლიო ომში თერჯოლიდან 3 533 ადამიანი გაიწვიეს, 2325 დაიღუპა, ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ხოლო შინ დაბრუნდა 1 208 მებრძოლი.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 81-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად 2000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები - 1000 ლარს მიიღებენ.

ღონისძიებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები ზვიად ბაზაძე, მირზა ქოჩიაშვილი, მერიის სამსახურების უფროსები, მერიის თანამშრომლები, საკრებულოს დეპუტატები, სამხედრო პირები და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

წმინდა გიორგი ფარავდეს სრულიად საქართველოს!



6 მაისს, საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, წმინდა გიორგის აღსრულების დღე აღნიშნა. წმინდანის სახელზე წირვები აღევლინა ჩვენი ქვეყნის ეკლესია-მონასტრებში...

ტრადიციულად, ხალხმრავლობა იყო ამ დღეს სოფელ გოგნის „კარუგდებლის“ სალოცავზე და წმინდა გიორგის სახელობის ახლადაგებულ ტაძარში...

აქ, ათასობით მორწმუნემ ილოცა, სანთლები აანთო და აღთქმული შესაწირი მიიტანა დიდმოწამე გიორგის სახელზე. შეავედრა მას მშვიდობა ქვეყანაში, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა...

ზურაბ რობაქიძე 95 წლისაა, ვულოცავთ!

6 მაისს, გიორგობას, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ-ტრანსფუზიოლოგ ზურაბ რობაქიძეს 95 წელი შეუსრულდა. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად, ზურაბ რობაქიძეს საიუბილეო თარიღის მისალოცად სახლში ეწვია, სიმბოლური საჩუქარი გადასცა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

,,საპატიო თერჯოლელი ზურაბ რობაქიძე წლების განმავლობაში ერთგულად და დაუღალავად ემსახურებოდა ჩვენ ქვეყანას. გამორჩეული პროფესიონალიზმით, სიყვარულითა და ენერგიით ზრუნავდა ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. მინდა მთელი გულით მივულოცო 95-ე დაბადების დღე და გიორგობის დღესასწაული, მადლობა მას გაწეული ღვაწლისთვის. ვუსურვებ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს“—აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

ზურაბ რობაქიძე 1931 წელს ქ. თერჯოლაში დაიბადა. 1957 წლიდან მოღვაწეობს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის დარგში. 2006 წლიდან იყო საქართველოს ტრანსფუზიოლოგთა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი. არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის და გამოგონების ავტორი და მსოფლიო აკადემიის წევრი ჰემოთერაპიაში.

შეხვედრას ქ. თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ჩხიკვაძე, მერიის სოციალურ საქმეთა სამსახურის უფროსი დიანა ფოცხვერაშვილი და თერჯოლის მერის წარმომადგენელი კოტე ძოწენიძე ესწრებოდნენ.

სამუშაო შეხვედრა სამსახურის ახალი ხელმძღვანელის წარდგენით

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელსაც მერიის სამსახურების, განყოფილებების, ა(ა) იპების ხელმძღვანელები და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტის მერმა, თანამშრომლებს ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ახალი ხელმძღვანელი- შალვა გოგოლაშვილი წარუდგინა და წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში.

შალვა გოგოლაშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მანუჩარ რობაქიძის 2026 წლის 15 აპრილის (ბ. 28.2826058) ბრძანებით დაინიშნა.

შ. გოგოლაშვილი ახალ თანამდებობაზე დანიშვნადე ამავე სამსახურის ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროს სპეციალისტად მუშაობდა.

შალვა გოგოლაშვილი დაიბადა 1980 წლის 9 ივნისს ქ. თერჯოლაში. 1997 წელს დაამთავრა ქ. ტყიბულის №1 საჯარო სკოლა. არის უმაღლესი განათლებით, 2002 წელს დაამთავრა ი. პეტრიძის სახელობის უნივერსიტეტი, ხოლო 2008 წელს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალობით არის ისტორიკოსი და იურისტი.

2002-2003 წლებში იხდიდა სამხედსრო სავალდებულო სასახურს.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს შეიაღაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონალურ სამმართველოში პატრულის განყოფილებში, განათლების და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში.

არის დაოჯახებული, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

წარმატებებს ვუსურვებთ შალვა გოგოლაშვილს ახალ თანამდებობაზე.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალური პროგრამები და მაისის თვეში დაგეგმილი კულტურული ღონისძიებები განიხილეს.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვისას ცალკე ყურადღება დაეთმო საგზაო ინფრასტრუქტურას. აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე რამდენიმე ლოკაციაზე უკვე მიმდინარეობს არმირებული ბეტონის საფარის დაგების მოსამზადებელი სამუშაოები. მაისის თვეში რეგიონული განვითარების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით , მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლებთან დამაკავშირებელი და შიდა საუბნო გზები კეთილმოეწყობა.

სამუშაო შეხვედრას მერის მოადგილეები-ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი ესწრებოდნენ.

ჩვენებურების ევროპული წარმატება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად, სამბოში ევროპის პრიზიორებს: ვახტანგ შუღლაძეს და ლუკა ნიქაბაძეს შეხვდა.

მერმა გამარჯვებულ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელს, ლერი ჯიხვაშვილს მიღწეული შედეგები მიულოცა, მადლობის სიგელები გადასცა და შემდგომში წარმატებები უსურვა. ევროპის პრიზიორებს მუნიციპალიტეტის მერიისგან ჯილდოდ 1000 ლარი გადაეცემა.

სერბეთში გამართული ევროპის ჩემპიონატის ფარგლებში, თერჯოლელმა სამბისტებმა 21-წლამდელებს შორის, საბრძოლო სამბოში მიიღეს მონაწილეობა, ვახტანგ შუღლაძემ (-79 კგ) და ლუკა ნიქაბაძემ (-98 კგ) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

შეხვედრას მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი მაკა ასათიანი, საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნინო ოქრუაძე, საკრებულოს აპარატის უფროსი ანა მარგველაშვილი და თერჯოლის სპორტის სასახლის დირექტორი ირაკლი ჩხეიძე დაესწრნენ.

ჩვენი თერჯოლა, რომ უფრო ლამაზი იყოს...

მუნიციპალიტეტის მერის, მანუჩარ რობაქიძის ინიციატივით ქალაქ თერჯოლაში მწვანე საფარის განახლება და რეკრეაციული ზონების მოწყობა გრძელდება.

ამჯერად, გამწვანების მორიგ აქციაში მანუჩარ რობაქიძემ მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ სოსო ჩაფიჩაძემ, პირველმა მოადგილემ ზვიად ბაზაძემ, მერის მოადგილემ მირზა ქოჩიაშვილმა მიიღეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად.

ქალაქს ამ ეტაპზე სხვადასხვა ჯიშის 100-მდე მცენარე შეემატა. მსგავსი ტიპის გამწვანების აქციები მომავალშიც გაგრძელდება.

1☞

თერჯოლის მუიციპალიტეტის საკრებულოში

ბიძინა ბუცრილიძე: თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, თავის 2026 წლის 4 მარტის სხდომაზე ცვლილება შეიტანა საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემუშავდა ფორმულა, რომლითაც დადგინდა დასუფთავების ყოველთვიური მოსაკრებლის განაკვეთი. მუნიციპალიტეტის საქმიანობა ექცევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი წესების ფარგლებში, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას თვითმმართველობის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, საჭიროებიდან და სოციალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, შემოიღოს ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები.

საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილია დასუფთავების მოსაკრებელი. ამ დრომდე კი თერჯოლის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი შესაბამისი სამსახურები ქალაქისა და სოფლების სისუფთავეზე და ნარჩენების გატანაზე მუშაობდნენ მოსაკრებლის გარეშე, რაც მაღალ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დასუფთავების გადასახადის დაწესების შესახებ, რათა წესრიგისა და სისუფთავის დაცვა შეუფერხებლად გაგრძელდეს.

„ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის თანახმად: . დასახლებული ტერიტორიის დასუფთავება გულისხმობს:

— ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების „ნარჩენების მართვის კოდექსი”-ს შესაბამისად მართვას.

— განსაზღვრავს მოსაკრებლის გადამხდელებს, რომ ისინი არიან ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომლებიც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში წარმოქმნიან ნარჩენებს.

აღნიშნული მუხლის მიხედვით: მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში, ხოლო იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის – 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე. ასევე, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 სულით.

კანონის მიერ შემოთავაზებული განაკვეთებიდან მუნიციპალიტეტის მიერ შეირჩა მოსახლეობაზე მორგებული და მათი ინტერესების შესაბამისი განაკვეთები. კერძოდ:

მოსახლეობისათვის დასუფთავების მოსაკრებლის ყოველთვიური ოდენობა გაიანგარიშება სულადობის მიხედვით:

ა) მოსახლეობისათვის – ერთ სულ მოსახლეზე – 1,00 ლარი თვეში;

ბ) ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 სულით;

გ) მოსახლეობისთვის, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 70 000 ან 70 000-ზე დაბალია – 0,50 ლარი თვეში;

დ) ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები - 0,50 ლარი თვეში;

3) იურიდიული პირების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება თვეში 1მ³ -ზე 16 ლარის ოდენობით და გაიანგარიშება ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმის, ნარჩენების გატანის ღირებულებისა და შესაბამისი ზომის ერთეულის კომბინაციით, კერძოდ,

M=G / 12*R

M-ერთი თვის მოსაკრებელი (ლარი);

G- ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა მ³;

R-მოსაკრებლის ოდენობა 1მ³ ნარჩენზე - 16 ლარი.

რაც შეეხება საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ჯგუფების ჩამონათვალს საქმიანობის სფეროს მიხედვით, შესაბამისი ინსტრუქციების და დანართების სახით თან ახლავს დადგენილებას, რომლებსაც შეგიძლიათ გაეცნოთ დადგენილების ტექსტში მითითებულ ვებგვერდზე—www.matsne.gov.ge.

P.S. ნარჩენების გონივრული მართვა და სისუფთავე ჯანსაღი გარემოა, ჯანსაღი გარემო კი ჩვენი ჯანმრთელობაა! როგორც მოქალაქეები, ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თუ სტატუსის მიუხედავად ვალდებულები ვართ იმ კანონ-დადგენილებათა მორჩილ-შემსულებელნი ვიყავით, რაც კონსტიტუციურად ამ მიმართებით დაგვეკისრა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №10

ქ. თერჯოლა **2015 წლის 2 თებერვალი**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ” პუნქტის „დ.ბ” ქვეპუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ”, „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ”, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის”, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონების და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებელი შემდეგი ოდენობით:

ა) ასაშენებელი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 0,5 ლარი;

ბ) ასაშენებელი კომერციული დანიშნულების ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 1 (ერთი) ლარი;

გ) საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 3 (სამი) ლარი;

დ) ხაზობრივი ნაგებობების, კერძოდ: II კატეგორიის (ქალაქის ქუჩის ქსელი) წყალსადენის, II კატეგორიის წყალარინების მილის, III კატეგორიის სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობის, III კატეგორიის საავტომობილო გზის, II კატეგორიის ქუჩის მშენებლობისათვის ერთ გრძივ მეტრზე 0,1 ლარის ოდენობით, ხოლო II კატეგორიის ნავთობსადენის და გაზსადენის, III კატეგორიის ელექტროგადამცემი ხაზის, II კატეგორიის სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობის, II კატეგორიის რკინიგზის, II კატეგორიის საავტომობილო გზის, I კატეგორიის ქუჩის მშენებლობისათვის ერთ გრძივ მეტრზე 0,2 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლების გადახდისგან განთავისუფლდეს:

ა) სტიქიური უბედურებისაგან დაზიანებული ობიექტის მშენებლობა;

ბ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის) ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამშენებლო სამუშაოები;

გ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამშენებლო სამუშაოები;

დ) ეკლესია-მონასტრების მშენებლობა.

3. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია, დანართი №1 -ის შესაბამისად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 დეკემბრის დადგენილება №41-ვებგვერდი,10.12. 2015 წ.

მუხლი 2

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი და დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შემოღებული ადგილობრივი მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის ინსტრუქცია დანართ №2-ის შესაბამისად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 აპრილის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 06. 04. 2016 წ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 მაისის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 17. 05. 2017 წ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ივნისის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 20. 06. 2017 წ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 4 მარტის დადგენილება №38 - ვებგვერდი, 06. 03. 2026 წ.

მუხლი 3

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, სათამაშო ბიზნესის სახეობის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

1. ა) თითოეულ სამორინეს მაგიდაზე – კვარტალში 20 000 ლარი;

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 2 000 ლარი;

გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე:

დ.ა) სამორინის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

დ. ბ) სათამაშო აპარატების თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

დ. გ) ტოტალიზატორის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

ე) ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის რეალიზებული ბილეთების ჯამურ ღირებულებასა და საპრიზო ფონდს შორის სხვაობის 10%;

ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე – კვარტალში 1500 ლარი;

ზ) თითოეული კლუბის მაგიდაზე – კვარტალში 4 000 ლარი.

2. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია, დანართი №3-ის შესაბამისად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 3 ივლისის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 04. 07. 2024 წ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 7 აგვისტოს დადგენილება №14 - ვებგვერდი, 08. 08. 2024 წ.

მუხლი 4

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებული იქნეს მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი შემდეგი ოდენობით:

ა) II კლასის შენობა-ნაგებობებისათვის ან/და შენობა-ნაგებობებისათვის, რომელთა საერთო სამშენებლო ფართი არ აღემატება 300 მ2-ს:

ა.ა) განცხადების მიღებიდან 1 დღის ვადაში – 1000 ლარი:

ა.ბ) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში – 500 ლარი:

ბ) III კლასს მიკუთვნებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობით 1500მ2-მდე და მიწის ზედაპირიდან 14 მ-მდე სიმაღლის შენობა-ნაგებობისათვის:

ბ.ა) განცხადების მიღებიდან 1 დღის ვადაში – 2000 ლარი;

ბ.ბ) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში – 1000 ლარი;

ბ.გ) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში – 500 ლარი;

გ) III კლასის შენობა-ნაგებობებისათვის ან/და შენობა-ნაგებობებისათვის, რომელთა საერთო სამშენებლო ფართი არ აღემატება 6000 მ2-ს, გარდა ამ პუნქტის „ბ’ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობებისა:

გ.ა) განცხადების მიღებიდან 1 დღის ვადაში – 2500 ლარი;

გ.ბ) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში – 1500 ლარი;

გ.გ) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში – 1000 ლარი;

დ) IV კლასის შენობა-ნაგებობებისათვის ან/და შენობა-ნაგებობებისათვის, რომელთა საერთო სამშენებლო ფართი აღემატება 6000 მ2-ს:

დ.ა) განცხადების მიღებიდან 1 დღის ვადაში – 4500 ლარი;

დ.ბ) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში – 2500 ლარი;

დ.გ) განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში –1000 ლარი.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტი არ ვრცელდება III კლასს მიკუთვნებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობით 1500 მ2-მდე და მიწის ზედაპირიდან 14 მ-მდე სიმაღლის სათავსის მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღება) თაობაზე აქტის გამოცემაზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ შენობა-ნაგებობის სამშენებლო დოკუმენტაციიდან გამომდინარე, შენობა- ნაგებობის მახასიათებლები შეესაბამება ამ მუხლის პირველი პუნქტის ორი ან რამდენიმე ქვეპუნქტის მოთხოვნებს, დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი გადაიხდება იმ ქვეპუნქტის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მოსაკრებლის უფრო მაღალ ოდენობას.

4. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია დანართი №4-ის შესაბამისად.

მუხლი 5. (ამოღებულია)

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 4 მარტის დადგენილება №38 - ვებგვერდი, 06. 03. 2026 წ.

მუხლი 6

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ა) „თერჯოლის მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების დაწესების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 21 მარტის №13 დადგენილება, (210.020.010.35.126.004.478, 2007 წელი, 3 აპრილი);

ბ) „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ” თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 20 იანვრის №2 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 03/02/2012, სარეგისტრაციო კოდი: 210070000.35.126.016055).

მუხლი 7

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სოფიო ბუსკივაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ნინო მაჩიტიძე—ახალგაზრდული საქმიანობის დელეგატი თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

ნინო მაჩიტიძემ 2025 წელს დაამთავრა ქვედა სიმონეთის №1 საჯრო სკოლა და ამავე წელს ჩაირიცხა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში (KIU).

აქტივობის რა ეტაპები გაირა დელეგატობამდე, როგორია მისი პირველი ნაბიჯები და რა არის მთავარი მოტივაცია, ამაზე თავად ნინო გვესაუბრება.

თერჯოლის ახალგაზრდული საქმიანობის დელეგატობა დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. მეამაყება, რომ წარმოვადგენ ახალგაზრდების ხმას ჩემი მშობლიური თერჯოლიდან.

ჩემი აღმზრდელი პედაგოგების მუდმივმა მხარდაჭერამ და იმ გარემომ, რომელშიც გავიზარდე, დამარწმუნა, რომ ყველაფერი შესაძლებელია თუკი საკუთარ შესაძლებლობებს ირწმუნებ. ჩემი ყოველი წინგადადგმული ნაბიჯიც იმ ფესვების დამსახურებაა, რომლებიც აქ, ჩემს მშობლიურ სკოლაში ჩაიყარა.

სკოლის პერიოდიდანვე ვცდილობდი ვყოფილიყავი აქტიური, როგორც სასკოლო, ასევე დამოუკიდებელ სამოქალაქო ცხოვრებაში. ვარ მოხალისე 2023 წლიდან. ვიყავი თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის, სოციალური დაცვის, სამოქალაქო და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრის „ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების“ და ასევე „თვითმმართველობის დარბაზის” კლუბის წევრი. ამ ცენტრმა, უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემს პიროვნულ განვითარებაზე. 2024 წელს გავხდი Ph international-ის „სამოქალაქო განათლების ჩემპიონების“ პროგრამის მონაწილე და პროექტის ფარგლებში საკუთარი კლუბის ადმინისტრატორი.

2026 წლის თებერვალში სსიპ ახალგაზრდობის სააგენტომ გამოაცხადა კონკურსი მთელი საქართველოს მასშტაბით „ახალგაზრდობის საქმიანობის დელეგატი”. ახალგაზრდობის სააგენტო ეს არის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიების შემუშავების, განხორციელებისა და კოორდინაციის მიზნით. დელეგატობის პროგრამა კი წარმოადგენს 10-თვიან ინიციატივას და მიზნად ისახავს რეგიონებში ახალგაზრდული სფეროს გაძლიერებასა და ახალგაზრდების საზოგადოებრივ ჩართულობის ზრდას.

აპლიკაცია მაშინვე შევავსე, როგორც კი სააგენტომ მიღება გამოაცხადა. პირველი ეტაპის წარმატებით გადალახვის შემდეგ, გავიარე გასაუბრებაც და მიმიჩნიეს ღირსეულ კანდიდატად.

1–4 აპრილს, ახალგაზრდული საქმიანობის შერჩეულმა დელეგატებმა თბილისში გავიარეთ გადამზადების სასწავლო პროგრამა. ტრენინგის ფარგლებში შევეხეთ ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა არაფორმალური განათლება და ახალგაზრდული საქმიანობა, ციფრული კომუნიკაცია და თანამედროვე ტექნოლოგიები, სოციალური მედიის პლატფორმების ეფექტიანი გამოყენება და სხვა. ეს გამოცდილება დამეხმარა, უკეთ გავიაზრო ჩემი როლი და შესაძლებლობები, როგორც დელეგატმა.

პროცესის ფარგლებში ვესტუმრეთ საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს. შევხვდით ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს, ვახტანგ ბააკაშვილს და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველ მოადგილეს, ლევან ღირსიაშვილს. გვქონდა მათთვის კითხვების დასმისა და უშუალოდ პირისპირ კომუნიკაციის შესაძლებლობა.

საინტერესო იყო სხვა მუნიციპალიტეტის დელეგატებთან ურთიერთობაც. ერთმანეთს გავუზიარეთ ჩვენი ხედვები, მუნიციპალიტეტებში არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები, რომლებსაც გამოყენება სჭირდება.

მე, როგორც დელეგატმა, ჩემი სტატუსის ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში უნდა გავავრცელო ინფორმაცია ახალგაზრდული პროგრამების, სერვისებისა და შესაძლებლობების შესახებ, გავმართო საინფორმაციო შეხვედრები და აქტივობები, ვითანამშრომლო ადგილობრივ ახალგაზრდებთან, თვითმმართველობასა და ახალგაზრდობის სააგენტოსთან.

მიმაჩნია, რომ სწორი კომუნიკაცია და რესურსებზე ხელმისაწვდომობა გადამწყვეტია ახალი თაობის პიროვნული თუ პროფესიული ზრდისთვის. სწორედ ამიტომ, ჩემი მიზანია, ხელი შევუწყო რეგიონში აქტიური და რეალიზებული ახალგაზრდული თემის ჩამოყალიბებას.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩემთვის უდიდესი მოტივაცია მშობლიური კუთხის - თერჯოლის სიყვარულია.

გულით მჯერა, რომ წარმატება მხოლოდ მაშინ არის სრულყოფილი, როდესაც მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას კვლავ ჩვენს მხარეს მოვახმართ და მის განვითარებაში შევიტანთ წვლილს.

თითოეული ჩვენგანის ინდივიდუალური წინსვლა ჩვენი რეგიონის საერთო წარმატებაა.

დარწმუნებული ვარ, რომ ერთიანობით, ცოდნის გაზიარებითა და ერთმანეთის მხარდაჭერით, ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია შევქმნათ უკეთესი მომავალი ჩვენი თერჯოლისთვის და იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც დღეს დგამენ პირველ ნაბიჯებს.

P. S. ვულოცავთ ნინოს, მომავალი წარმატებები ვუსურვოთ მას თერჯოლელ ახალგაზრდებთან ერთად ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და წინ სვლისათვის...

ნიკოლოზ (შუქური) ვერულაშვილი—80

რა უცებ გაირბინა დრომ. თითქოს აგერ იყო, გუშინ, ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, სახიერი ახალგაზრდა სწავლული აგრონომი, რომ მოევლინა თერჯოლის რაიონის აგრონომთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა სისტემას.

ჯერ რიგითი აგრონომი, შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარე მშობლიურ სოფელ სიქთარვაში. ენთუზიაზმით დაიწყო მუშაობა კოლმეურნეობის თავკაცად.

შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ახალგაზრდა კაცის მონდომება და პასუხისმგებლობა რაიონის მესვეურებს. შემდეგ სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელობა დაეკისრა და აქაც ჩვეული შემართებით შეუდგა საქმეს. გვერდში ამოიყენა სკოლის და კოლმერნეობის თავკაცები, ერთად შეეჭიდნენ რთულ საქმეს და მათი სახელიც მალე გახმიანდა რაიონში.

შესანიშნავი ტრიუმვირატი, ამბობდნენ მაშინ გუგუშა ვერულაშვილის, ლევან ცქიფურიშვილის და ნიკოლოზ ვერულაშვილის შესახებ.

თანამოსაქმეებთან ერთად მის მხრებზე გადაიარა მიწის საპრივატიზაციო სამუშაოებმა რაიონში. ყველა საქმეს, რასაც კი ჩააბარებდნენ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, პირად ურთიერთობაშიც ყურადღებიანი და მეგობრული, უღალატო კაცის სახელი ჰქონდა და ასე აგრძელებს ცხოვრებას დღესაც.

გაზეთი „თერჯოლა" 80 წლის იუბილეს ულოცავს ნიკოლოზ ვერულაშვილს, უსურვებს ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს.

მრავალჟამიერ, ჩვენო შუქურ!

„თერჯოლა“

ქართული კალიგრაფია—ხიდი წარსულსა და მომავალს შორის

ნახშირღელის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ მაია მელუავას უყვარს გაზეთ „თერჯოლასთან“ თანამშრომლობა. ხშირად ვეხმიანები.

ახლახანს კალიგრაფიის —ლამაზად წერის ხელოვნებაზე—ჩამოვუგდე სიტყვა, ვთხოვე, ეფიქრა ამ თემაზე. იქვე მითხრა, რომ ჰყავს მერვე კლასის წარჩინებული მოსწავლე, ელენე ლანჩავა, რომელსაც გამორჩეული ხელწერა აქვს. იგი თვითონ ქმნის, ასევე აღადგენს უძველეს ქართულ ხელნაწერებს. მის მიერ შესრულებული ქართული კალიგრაფიის ნიმუშები სინატიფით, დახვეწილობით და სილამაზით გამოირჩევაო.

თვითნასწავლი კალიგრაფი

ელენე ხშირად მონაწილეობს ქართული კალიგრაფიის, როგორც სასკოლო, ისე რაიონულ და რეგიონალურ კონკურსებში. შარშან, საჩხერეში, ჩატარებულ კალიგრაფიის კონკურსში იღებდა მონაწილეობას და დაჯილდოვდა.

აი, რა თქვა ელენემ

„ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მეხუთე კლასში სწავლისას, ჩვენს კლასში შემოვიდა ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მაია მელუავა. მან შემოგვიტანა ულამაზესი ნაწერები და გვითხრა, რომ ეს იყო ჩვენი ულამაზესი ქართული დამწერლობის ნიმუშები. „მოდით, ბავშვებო, ჩვენც ვცადოთ ასეთი წერა“—გვითხრა და თვითონვე დაფაზე დაგვიწერა პირველი ნიმუშები, გვასწავლა გადაბმის ხერხები. მოვიხიბლეთ. მოვიმარჯვეთ რვეულები, კალმები და დავიწყეთ მუშაობა. თავდაპირველად ლამაზად არ გამოგვდიოდა, მაგრამ მასწავლებელი გვერდით გვედგა და გვამხნევებდა. დღითი დღე ვაუმჯობესებდი ნაწერს და ყოველ დღე ვაჩვენებდი. ვიღებდი მასწავლებლისაგან რჩევებს. ყოველ საღამოს, როდესაც თავისუფალი დრო მექნებოდა ჩემს რვეულში ლექსებს ვწერდი და თანდათან ვხვეწდი ნამუშევრებს. მეექვსე კლასში გადავწყვიტე დიდ საქმეს შევჭიდებოდი—ხელით გადამეწერა უდიდესი პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. მესამე წელია თავისუფალ დროს მოწიწებით ვიღებ ხელში ჩვენს საგანძურს და ვაგრძელებ წერას. მინდა, დაწყებული საქმე დავასრულო და „ვეფხისტყაოსანი“ ბოლომდე გადავწერო. და რომ არა ჩემი მასწავლებლის კლასში შემოტანილი ნაწერები, მე ასეთი წერა არ შემეძლებოდა, ამიტომ ძალიან დიდი მადლობელი ვარ მისი, რომ მომცა სტიმული და გამიღვივა სიყვარული ქართული კალიგრაფიისადმი.“



ელენე ყველა დავალებას ასე ლამაზად წერს, ყველა საგანში, და ყველა საგანს ერთნაირი გატაცებით და მონდომებით სწავლობს. დიდი საქმის კეთებას მიჰყო ხელი ელენემ, გადაჭარბებული თუ არ იქნება—ეროვნულ საქმეს. ვუსურვოთ მას მონდომება, ენერგია, როგორც ქალბატონი მაია ამბობს, თავისი „ხელოვნებით გაეხარებინოს“ მნახველი.

***

„ამბობენ, რომ დამწერლობა ერის სულია, ხოლო კალიგრაფია—ამ სულის მელოდია. ეპოქაში, სადაც კლავიატურის ცივმა კაკუნმა თითქმის სრულად ჩაანაცვლა კალმის „ცეკვა“ ქაღალდზე, ქართული კალიგრაფია კვლავ რჩება იმ ცოცხალ ხიდად, რომელიც ჩვენს მრავალსაუკუნოვან წარსულსა და თანამედროვეობას აკავშირებს. იუნესკოს მიერ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ქართული ანბანის სამი სახეობა მხოლოდ ისტორიული რელიქვია როდია. იგი არის თანამედროვე დიზაინის, ხელოვნებისა და თვითგამოხატვის მძლავრი ინსტრუმენტი“—ამბობს მაია და გავიხსენეთ იოანე ზოსიმე, მისი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

დიახ, ხელით, ლამაზად იწერება „ვეფხისტყაოსანი“, ცნობილ გადამწერთ შეუერთდება ელენე ლანჩავაც!

ჟუჟუნა ცხადაძე

„განძი ქართული“

„ლიტერატურულ-შემეცნებით-შემოქმედებითი“ აქტივობა ბლოკებად დაჰყვეს და შექმნეს ერთი მთლიანობა „განძი ქართული“. გაერთიანდა ილია ჭავჭავაძის „მამული, ენა, სარწმუნოება“ , საქართველოს პატრიარქის „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“, თქმული სხვადასხვა საუკუნეებში, მაგრამ ღირებულების მატარებელი, არასდროს რომ არ გაფერმკრთალდება, მარადიულად რომ იქნება ყოველი ქართველის მაცოცხლებელი წყარო. ილია მეორემ ბრძანა „მამული, ენა, სარწმუნოება“-ს ჩვენ დავუმატეთ „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“. დიდება და მადლობა უფალს იმისათვის, რომ დაგვაჯილდოვა ამ გრძნობით და შეგრძნებით“.

ღვანკითის საჯარო სკოლის (დირექტორი ინგა ჯალიაშვილი) X კლასის მოსწავლეები (კლასის ხელმძღვანელი და ღონისძიების ორგანიზატორი ეთერ ტურავა) მიესალმნენ მოწვეულ სტუმრებს და ერთიან, ლამაზ ფორმებში შვენოდნენ სახელდახელო სცენას, არიან თერთმეტნი და თერთმეტივე გულანთებით, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით წარმოთქვამდნენ სამშობლოსადმი მიძღვნილ ქართველ პოეტთა ლექსებს თუ გამონათქვამებს.

გამორჩეული პატივი მიაგეს საქართველოს პატრიარქის ხსოვნას, ფეხზე ადგომით მოვისმინეთ მისი „ალილუია“ და შეგონება—„ღმერთი, სამშობლო, ადამიანი! ღმერთი უპირველესია—ვიწამოთ იგი და ყველაფერი კარგად იქნება“. წელს სრულდება 17 საუკუნე საქართველოს გაქრისტიანებიდან, ლუკა ქურცაძეს ღონისძიების მთელ მანძილზე თავისი ხელით ვაზის ლერწმისაგან დამზადებული ჯვარი ეპყრა ხელთ. ეთერ ტურავამ წაიკითხა და წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლა ანა კალანდაძის ცნობილი ლექსით შეგვახსენა.

პატრიარქის ქადაგებები

მრავალთაგან, რამდენიმე ათეული ამოურჩევიათ და ამ ათეულთაგან რამდენიმეს შემოგთავაზებთ. „ღმერთი არის სათავე სიყვარულისა“, „სადაც სიყვარულია, იქ სიხარულია, იქ მშვიდობაა“, „გვახსოვდეს ბიბლია—ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოელის მადლი“, „თაობათა ერთობა და ერთსულოვნება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ეშმაკი ჰყოფს და აპირისპირებს, ღმერთი კი აერთიანებს და არიგებს“, „ჩვენ უპირველესად გაჭირვებულს უნდა დავეხმაროთ, რომლებიც შორს არიან ღვთისა და ეკლესიისაგან. გაჭირვებული სწორედ ისაა, ვინც ურწმუნოა და გზასაცდენილი“, „როცა ადამიანი კეთილ საქმეს აკეთებს, მასზე გარდამოვლინდება მადლი სულიწმინდისა, რაც მთელ მის სახლს, მის ახლობლებს, შვილს და შვილიშვილს ეფინება“, „ოჯახი არის პატარა ეკლესია“, „რა დღესაც ვერ შევძლებთ სიკეთის შექმნას, ის დღე დაკარგულია“, „გიყვარდეთ მტერი, დალოცეთ თქვენი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეს და თქვენი სიკეთე თქვენვე დაგიბრუნდებათ“, „ბედნიერია ადამიანი, რომელსაც ღმერთის იმედი აქვს“ და სხვა.

„როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“

და მაინც რა არის სამშობლო? დასვეს კითხვა და თავადვე უპასუხეს: იქნებ რაფიელ ერისთავის ეს სტრიქონია „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“, იქნებ „ცა ფირუზ-ხმელეთ ზურმუხტია“, იქნებ ვაჟას სიმღერაა: სამშობლოს არვის წავართმევთ...

იქნებ ვაზია სამშობლო, იქნებ დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანია“, დემეტრე მეფის „შენ ხარ ვენახია“, პაატა სააკაძეა, ქეთევან დედოფლის დაშანთული მკერდია, თამარ მეფის გვირგვინი და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია“... და ითქვა—სამშობლო ისეთი ფენომენია, რომელსაც ასაკი არ გააჩნია, ისევე როგორც დედას და დედასავით მარადიულია, სამშობლო ყოველდღე გვბადებს, ყოველდღე იბადება ჩვენთვის, თავად კი არ კვდება, მარადიულია...

* * *

„წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ კი გვიხსნა ჩვენ არამცთუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმ უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ხსნად და ცხონებად მოევლინა ჩვენს ქვეყანას, შეიკედლა ქართველი ერი, გამოაწრთო და ჩაუდგა გული რკინისა. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ქართველს გვქონდა, გვაქვს და მომავალშიც გვექნება განსაკუთრებული რწმენა მართლმადიდებლობის და სიყვარული ღვთისადმი.

მოვისმინეთ ღვთისმშობლის საგალობელი.

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“

„ქართული ენა მსოფლიო ენების დედაა და მას შემთხვევით არ ეწოდება „დედა-ენა“ საქართველოდან დაშორებულ ყველაზე უშორეს დედამიწის წერტილშიც კი მოიძებნება ნაშთები ძირძველი ქართული სიტყვებისა, სამწუხაროდ დღევანდელი ქართული საკმაოდ დაბინძურებულია ბარბარიზმით, ამასთან სიამაყით უნდა აღინიშნოს ქართული ენის სამი სახეობა—ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. „იუნესკოს“ მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. ეს აღიარა მსოფლიომ. ქართული ენა მუსიკაა, მაგრამ არა მიწიერი, არამედ ზეციდან გადმოსული სულიერი მუსიკა. „და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული მოელის დღეს ამას მეორედ მოსვლისა უფლისასა“ და გაიხსენეს ისინიც, თუ როგორ ეფერებოდა ქვეყნის სასიქადულო მამულიშვილები მშობლიურ ენას—მუხრან მაჭავარიანი, გიორგი ლეონიძე, იოსებ ნონეშვილი, ირაკლი აბაშიძე, ოტია იოსელიანი, ვახუშტი კოტეტიშვილი და სხვები. იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ წმინდა წიგნია, დედასავით მშობლიური და ერთადერთი. დედაენის ძეგლი ამ წიგნის საიდუმლოა. ძეგლზე გამოსახულია ცოდნის წყურვილით ზეციისკენ ხელაპყრობილი ყმაწვილი, რომელიც ეს-ესაა ზარს შემოკრავს, ბავშვს, რომელიც თითქოს ცისკენ მიფრინავს, ფეხებთან იის ბუჩქი ეზრდება, მის თავზე ზარია ჩამოკიდებული—ესაა ასოციაცია სკოლის ზართანაც და ეკლესიის სამრეკლოსთანაც“.

მოსმენილი იქნა დედაენის ჰიმნი.

მეათეკლასელები იმ ასაკისანი არიან, რომ მართლაც ბევრი უნდა იცოდნენ, მაგრამ ამდენი?! თითქმის საათნახევარი გაგრძელდა ღონისძიება და ამ ხნის განმავლობაში მათ ზეპირად თქვეს თითქმის ყველაფერი მამულზე, ენაზე, სარწმუნოებაზე, ღმერთზე, სამშობლოზე, ადამიანზე. ქართველი ხალხის ეროვნული გადარჩენის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ ბრძოლაზე, სჯულის გაფრთხილების, ჩვენს დიდებულ წინაპართა სასწაულმოქმედ მხნეობაზე, თავგანწირვაზე, ვაჟკაცობაზე, რაც უახლოესი წარსულის კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას სიტყვებით გამოხატეს—„ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული სამშობლოს, ხორცს რაც გინდათ ის უყავითო“, რომ ქართველისათვის ცხოვრების უმთავრესი არსი დასაბამიდან იყო მამული, ენა, სარწმუნოება, ამ საუკუნის დასაწყისიდან დაემატა კი იქნება ღმერთი, სამშობლო, ადამიანი.

* * *

ქალბატონმა ეთერ ტურავამ აღნიშნა, რომ მეათეკლასელებმა ითხოვეს თბილისში წასვლა პატრიარქის პანაშვიდის დღეებში, მისთვის პატივის მისაგებად. მიიღეს დირექციის, მშობლების თანხმობა და შეუერთდნენ ქართველ „ჭირისუფალთა“ უზარმაზარ არმიას.

ამ კლასის მოსწავლე ნათია ქარქაშაძე პატრიარქის ნათლულია, იგი ბედნიერია ამ ნათლობით, მაგრამ მწუხარე ნათლიის გარდაცვალების გამო.

ღონისძიება ნამდვილად იყო ლიტერატურულ-შემეცნებით-შემოქმედებითი, მდიდარი თავისი ღირებულებებით. იყო სევდიანი, ამაღელვებელი, როგორც მოსწავლეების, ისე დამსწრეთათვის.

„განძი ქართული“ მისი სამივე ბლოკი იყო დასტური იმისა, რომ იზრდება ახალგაზრდობა, რომელიც „ჩაიბარებს“ ქვეყანას და „მოუვლის“ კიდეც.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, უფროსი სპეციალისტი მაია რობაქიძე, მამა ანდრია (ყიფიანი), სკოლის პედაგოგები, მშობლები. სიტყვებით გამოვიდნენ ქალბატონი ქეთევანი, მამა ანდრია, სკოლის დირექტორი ინგა ჯალიაშვილი, პედაგოგები: ქეთი კირკიტაძე („მზეკაბანი“), მარინა ბუსკივაძე, ნანა ტყემალაძე, დარინა ჭანტურიძე, ნინო გოგიაშვილი. „ღირებული, პატრიოტული, ეროვნული, გულიანი მამულიშვილები“ თქვეს ღონისძიების შეფასებისას. ეთერ ტურავას მიერ ჩატარებული ღონისძიება კი არავის გაკვირვებია. იგი ძლიერია, როგორც პედაგოგი, როგორც კლასის ხელმძღვანელი.

ჟუჟუნა ცხადაძე

„უღრმესი მადლობა ყველას... მხოლოდ ამ დღისთვის ღირდა ჩემი ცხოვრება“

ამ სიტყვებით გამოხატა მადლიერება იუბილარმა მისთვის ამაღელვებელი, უსაზღვროდ ემოციური, სიყვარულის, უმაღლესი შეფასებებისა და აღიარების საიუბილეო საღამოზე...

28 მარტი, თერჯოლის კულტურის ცხოვრების კიდევ ერთი ულამაზესი ისტორიული დღე. კულტურის სფეროში მოღვაწე, ყველასათვის საყვარელი ქალბატონის ირინა ბუცხრიკიძის დაბადებიდან 60, ხოლო ქორეოგრაფიული საქმიანობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება ნამდვილ ზეიმად იქცა. ეს იყო დემონსტრირება ქართველი ხალხის განუზომელი სიყვარულისა და პატივისცემისა ეროვნული ქორეოგრაფიისადმი, შემოქმედებითი ანსამბლების „იმერეთის“, „საპოვნელას“, „ჯეოგენის“, „მასპინძელოს“ და საღამოს სხვა მონაწილეთა ერთგვარი დათვალიერებაც, შემოწმებაც, შეფასებაც და ერთგვარი ანგარიშიც თუ რამდენად ცხოვლად ეხმიანებიან ისინი ხალხის, მაყურებლის გემოვნებასა და გრძნობათა სამყაროს, როგორ განავითარებენ მიღწევებს, რომელიც ამ დარგში ქვეყანას გააჩნია, როგორ აზიარებენ თაობებს ეროვნული ფესვების სიყვარულს, მის პატივისცემას, რა დროსაც სწორედ მამულის მესაძირკვლეთა ვაჟკაცობა და სულიერება იჭედება...

გადავსებული მაყურებელთა დარბაზი, რომელსაც სტუმრებიც უერთდებოდნენ, ლამაზი წუთების მოლოდინშია.

მუსიკისა და ეკრანზე ნაჩვენები კადრების ფონზე რეჟისორ მამუკა ცერცვაძის მაღალი ოსტატობით წაკითხული ტექსტით დაიწყო საიუბილეო საღამო, რომელიც ქართული ქორეოგრაფიის ორიგინალობაზე მის არსსა და ღრმა შინაარსზე საუბრობს, სადაც ყველაზე ნათლად წარმოჩინდება ქართველი ხალხის ისტორია, ხასიათი, ტრადიცია და კულტურა...

„დღეს განსაკუთრებული დღეა, დღე, როცა ჩვენ ვზეიმობთ არა ერთ დაბადების დღეს—ვზეიმობთ ადამიანს, რომელიც წლებია ამ სამყაროს სინათლეს მატებს და ქართულ კულტურას ემსახურება მთელი გულით, სულით და სიყვარულით...

ვზეიმობთ ქორეოგრაფის, მასწავლებლის, დედის, მეგობრის, დამცველის, ფარისა და იმედის—ქალის, რომლისთვისაც ცეკვა არასოდეს ყოფილა მხოლოდ მოძრაობა. ცეკვა მისთვის არის იდენტობა, ქართული ხასიათი, ცხოვრების აზრი...

40 წელია ის დგას სცენის წინ, 40 წელია ასწავლის არა მხოლოდ ნაბიჯს, არამედ ღირსებას, დისციპლინას, სამშობლოს სიყვარულს. ის არის არა მხოლოდ ქორეოგრაფი, არამედ ბავშვთა ფსიქოლოგი—ქალი, რომელსაც შეუძლია ბავშვის თვალებში ამოიკითხოს ის, რასაც სიტყვებით ვერ ამბობენ.

ქორეოგრაფია რთული გზაა, ეს არ არის მხოლოდ სცენა, მუსიკა და ტაშის ხმა. ეს არის უძილო ღამეები, დაღლილი სხეული, ბავშვების განცდა, მშობლების მოლოდინი, პასუხისმგებლობა ასეულ წმიდა გულზე... და ამ ყველაფრის მხრებით ტარება ღიმილით.

მან ეს გზა აირჩია არა იმიტომ, რომ ადვილი იყო, არამედ იმიტომ, რომ ეს იყო მისი მოწოდება“.

ირინას თერჯოლა და არა მხოლოდ თერჯოლა, მისი ბავშვობიდან წლების განმავლობაში სიყვარულით უკრავდა ტაშს, როგორც ანსამბლ „საპოვნელას“ წამყვან სოლისტს, შემდეგ კი, როცა მის მეუღლესთან, გოჩა ჭანკვეტაძესთან ერთად ამ ანსამბლის ქორეოგრაფი გახდა, ამ სიყვარულმა იმ უამრავ აღსაზრდელთა და მათ თაყვანისმცემელთა გულებში გადაინაცვლა, რომელთა ცეკვის ხელოვნების დაუფლებას 40 წელზე მეტია თავდადებით ემსახურება.

ირინა ქართველი ქალის ყველა საუკეთესო თვისებითაა შემკული, მის გარეგნულ მომხიბვლელობას ბუნებრივად ერწყმის ქალური სინაზე და კლდემამოსილება, სათნოება, უბრალოება, საქმისადმი, საყვარელ პროფესიისადმი თავდადება... ნახეთ ირინა რეპეტიციებზე, ნახეთ ურთიერთობებში და ნამდვილად ისურვებდით, რომ ჩვენს ირგვლივ ბევრი იყოს ასეთი ქალბატონი!

შემთხვევით არაფერი ხდება. ირინასა და გოჩას შეუღლებაც ალბათ უფლის ნება იყო, რომ ორივეს ერთად ეღვაწათ და ეკეთებინათ უაღრესად ეროვნული და პატრიოტული საქმე და ამავე დროს ორივეს ერთად ქვეყნის კულტურულ ფასეულობათა მშენებლობის კვარცხლბეკზე ერთი ლამაზი აგური დაედოთ...

ირინაზე და მის ოჯახზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი. მხოლოდ მოკლე ცნობებით შემოვიფარგლებით: „ქართული ქორეოგრაფიის დესპანი“, ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარი“, „დამსახურებული ქორეოგრაფ-პედაგოგი“, ოქროს მედლისა და პირველი ხარისხის დიპლომის მფლობელი, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი. ერთი ქალბატონისათვის ცოტა ნამდვილად არ არის.

გოჩა ჭანკვეტაძე—მისი ცხოვრება და საქმიანობა სრულად უკავშირდება ქართულ ცეკვას და სცენას. ბავშვობიდანვე იყო დაინტერესებული ქორეოგრაფიით, რამაც განსაზღვრა მისი მომავალი. გოჩამ პროფესიული ცოდნა და გამოცდილება წლების განმავლობაში შრომით და პრაქტიკით შეიძინა. როგორც მოცეკვავემ გაიარა სცენური გზა, ხოლო შემდეგ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება ქორეოგრაფიულ საქმიანობაში გადაიტანა. სწორედ აქ გამოიკვეთა მისი ლიდერული უნარები, შრომისმოყვარეობა და დაუღალავი ენერგია.

ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ **გოჩა ჭანკვეტაძე გახლავთ „ქართული ქორეოგრაფიის ბრწყინვალების ორდენის კავალერი“, „საქართველოს მეცნიერებათა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის აკადემიკოსი“, „საერთაშორისო საფესტივალო ორგანიზაციების წარმომადგენელი საქართველოში“, უამრავი რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი, მედლებისა და დიპლომების მფლობელი...**

ხელოვნების სამსახურში არიან და მშობლების საქმიანობის თანაზიარნი ირინას და გოჩას შვილები: გიორგი და თამარი, რძალი ნანა, შვილიშვილები ანი, ნიტა და ტასო...

გიორგი—ლოგიკურია, რომ ხელოვნების სიყვარულით აღვსილ ადამიანთა გარემოცვაში აღზრდილი გიორგი ადრეული ასაკიდან ეზიარა სცენის კულტურას, მისმა ბავშვობამ იმთავითვე სცენაზე გადაინაცვლა. მუსიკალურმა ნიჭმა მალევე განაპირობა მისი პოპულარობა, ხოლო ქორეოგრაფიულ მონაცემებს, დახვეწილ, პლასტიკურ მოძრაობას სცენაზე მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა. უდიდესია მისი როლი, როგორც ქორეოგრაფისა მშობლების გვერდით ანსამბლის წარმატებებში.

თამარი—ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული თავისუფალი შემოქმედია, რომელიც ახალ სიტყვას ამბობს ქორეოგრაფიაში. ქართულ, ტრადიციულ ფესვზე დაფუძნებულ მის მიერ დადგმულ ცეკვებს ხელოვნების ამ დარგის თანამედროვე სუნთქვა კიდევ უფრო მეტ სილამაზესა და მიმზიდველობას ანიჭებს. პატივს სცემს წარსულს, თუმცა არ ეშინია სიახლის, მის ნაბიჯებში ჩანს ახალგაზრდული ენერგია, მიზანი და ქართული ცეკვის სიყვარული.

ანი—თამარის ქალიშვილია. 2 წლის ასაკში თავისი ცეკვით სცენიდან უკვე აოცებდა მაყურებელს, წლებთან ერთად გაიზარდა მისი სიყვარული ხელოვნებისადმი. მისი გამოჩენა მესხიშვილის თეატრში უყურადღებოდ არ დარჩენია ახალგაზრდა ჟიურის, რომელთაც ანის სპეციალური პრიზი გადასცეს, როგორც დიდი მომავლის მქონე პატარა არტისტს.

ანი უამრავი კონკურს-ფესტივალის გამარჯვებული, ოქროს მედლის, პირველი ხარისხის დიპლომის და გრანპრის მფლობელია, არა მხოლოდ საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაც.

ნიტას და ტასოს პირველი ნაბიჯები ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში საკმაოდ წარმატებულია. ისინი თავიანთი ასაკის შესაფერისად წრფელი გულით და სიყვარულით დგანან სცენაზე...

ნანა მაკარიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, გიორგის მეუღლე ოჯახურ საქმიანობას აქტიურად შეუერთდა. მან ანსამბლში შექმნა დასამახსოვრებელი ქართული სახე... სცენა, რეპეტიციები, ბავშვები, კონცერტები, სიხარული და სირთულეები, ასეთ ოჯახში ცეკვა მხოლოდ პროფესია კი არა ცხოვრების წესია. ნანა პატივს სცემს ოჯახის ტრადიციებს, აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას, მხარს უჭერს მეუღლეს სცენაზე და ცხოვრებაში.

დიახ, ოჯახის ყველა წევრი ერთი დიდი საქმის მსახურებში არიან, ხელეწიფებათ ხელოვნებას პატივი მიაგონ სიმღერით თუ ქორეოგრაფიით და ძნელად თუ დაიძებნება ქვეყნის მასშტაბით თავიანთ საქმიანობაზე სხვა ასეთი შეყვარებული...

ცეკვაში ცეცხლად ანთებული ქართული სული

პარალელურად სცენაზე სასწაულებს ახდენენ ირინა ბუცხრიკიძისა და გოჩა, გიორგი და თამუნა ჭანკვეტაძეების რუდუნებითა და თავდაუზოგავი შრომით მაღალი დონის პროფესიონალებად ჩამოყალიბებული ანსამბლები: „იმერეთი“, „საპოვნელა“, „GEOგენი“ ანსამბლების თითოეული წევრის შემართება, მოძრაობა, დახვეწილი ილეთები, დიახ, ნამდვილად ცეცხლი ანთია სცენაზე, ულამაზესია თითოეული ცეკვა.

საიუბილეო საღამოს ქორეოგრაფიულ ანსამბლებთან ერთად მაყურებელთა წინაშე მდიდარი რეპერტუარით და არაჩვეულებრივად შესრულებული სიმღერებით ერთვებოდა მომღერალთა ანსამბლი „მასპინძელო“, ინეზა ბუცხრიკიძის ხელმძღვანელობით. „მასპინძელომ“ ისე მოხიბლა მაყურებლები, ისე პროფესიონალურად უმასპინძლა მოცკვავეებთან ერთად მაყურებლებს, მათ მიმართაც არაერთი მადლობა და მოწონება გაჟღერდა სტუმრების მიერ... და საერთოდ შეიძლება ითქვას საიუბილეო საღამო უწყვეტი აპლოდისმენტების ფონზე მიმდინარეობდა, რაც მონაწილეთა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისა და იუბილარისა და მისი ოჯახის წევრების ნაშრომ-ნაღვაწის აღიარება-განცხადება იყო.

კონცერტის ფინალში მაყურებლებს ჰქონდა საშუალება ერთად ენახა ჭანკვეტაძეთა ყველა წევრი სცენაზე: ირინა და გოჩა, გიორგი და ნანა, თამუნა და ანი, პატარები: ნიტა და ტასო. იყო არაჩვეულებრივი დადგმა, შესრულება, სილამაზე... და ხანგრძლივი აპლოდისმენტები.

☞7

„უღრმესი მადლობა ყველას... მხოლოდ ამ დღისთვის ღირდა ჩემი ცხოვრება“

6 ☜

შემდეგ სცენას სტუმრები იკავებენ. მსახიობი, პუბლიცისტი, ქორეოგრაფი, წარსულში სუხიშვილების წამყვანი სოლისტი გივი სიხარულიძე ლიდერობს, პირველი ესალმება საიუბილეო საღამოს მონაწილეებს, მაყურებელს, იუბილარს, მოცეკვავე-მომღერლებს. შემდეგ კი ემოციურად დატვირთული და მისალოცი და სამადლობელი სიტყვები წარმოთქვეს: საქართველოს ქორეოგრაფიის აკადემიის პრეზიდენტმა ალექსანდრე ქართველიშვილმა, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაზა მჟავანაძემ, ფოლკლორის ცენტრის ქორეოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელმა, პროფესორმა, ქორეოლოგმა უჩა დვალიშვილმა, ირინასა და გოჩას მეჯვარემ დამსახურებულმა ქორეოგრაფმა, „ერისიონის“ წამყვანმა სოლისტმა ზაალ ჭუმბურიძემ, ანსამბლ „სეუს“ ხელმძღვანელმა, დამსახურებულმა ქორეოგრაფმა კახა დგებუაძემ. ანსამბლ „ერისიონის“ სოლისტმა, დამსახურებულმა ქორეოგრაფ-პედაგოგმა რობერტ ქორჩილავამ, ანსამბლ „მეტეხის“ მთავარმა ქორეოგრაფმა დავით ფოცხიშვილმა, ანსამბლ „გენის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი ონიანმა.

საიუბილეო საღამოს მონაწილე სტუმართა შორის იყვნენ აგრეთვე ხვიჩა ხარაზიშვილი—ანსამბლ „ზესტაფონის“ მთავარი ქორეოგრაფი, ზაზა შალამბერიძე ანსამბლ „ძმების“ სამხატვრო ხელმძღვანელი, გია ენუქიძე—ანსამბლ „ხრიდონის“ მთავარი ქორეოგრაფი, ნანა ღიბრაძე, ბორია დადუნაშვილი—ანსამბლ „შევარდენის“ ხელმძღვანელები, ნონა ცხადაძე—ქორეოგრაფი, ოთარ მებუკე, ანა ჭანტურია—ანსამბლ „მთიების“ მთავარი ქორეოგრაფები და სხვები.

„დღეს დიდი ზეიმია თერჯოლაში, ეს ხელოვნების, ქორეოგრაფიისა და სიმღერის ზეიმია, „აქ საოცარი, დაუვიწყარი კონცერტი ვნახეთ, დიახ, ბავშვი უნდა იზრდებოდეს ცეკვასთან ერთად, ეს ქვეყნის მომავალს ჭირდება“, „ვნახეთ როგორი სიმდიდრეა სიმღერა და ცეკვა ერთად“... დიდი პროფესიონალიზმი... ყველა ცეკვა უმაღლეს დონეზე დადგმული, შინაარსით, სიუჟეტებით, ცეკვის კანონებით, საოცარი ილეთებით... ილეთების კორიანტელი... ბრავო. „ამ ანსამბლს ნებისმიერი სახელმწიფო ანსამბლი შეიერთებს“... „არაჩვეულებრივი მოცეკვავეები ვნახე, ორი არწივი რომ დაფრინავდა სცენაზე“, „მოხიბლული ვარ დღევანდელი დღით, ბედნიერი ვარ, რომ ასეთ კონცერტზე ვიყავი, უდიდესი სიამოვნება მივიღე“... ეს და სხვა უამრავი გამონათქვამი სტუმართა გამოსვლებიდან არის ამოკრებილი. სხვათა შორის საუკეთესო დაპირებებიც იქნა გაჟღერებული, ქალბატონ ირინას „თამარ მეფის ორდენზე წარდგენის თაობაზე“, იტალიაში მომღერალ-მოცეკვავეთა გასტროლების დაფინანსების თაობაზე და სხვა...

საიუბილეო საღამოს მონაწილეებს შორის იყვნენ მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე და საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე, მოადგილეებთან და საჯარო სამსახურის სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სახელით იუბილარს და შეკრებილ საზოგადოებას მისალოცი და მისასალმებელი სიტყვით მიმართა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა მაკა ასათიანმა...

„უდიდესი მადლობა მინდა გადაგიხადოთ თქვენ ბატონო გივი, პირადად და ყველა სტუმარსა და გამომსვლელს, ჩვენ ხელოვანთა, მომღერალ-მოცეკვავეთა ასეთი შეფასებისათვის. ეს მხოლოდ ნაწილია თერჯოლაში არსებული ანსამბლების. მადლობა ჩვენს საამაყო ირინას და მის ოჯახს, ანსამბლებს, მის თითოეულ წევრს ასეთი მაღალი დონის საიუბილეო საღამოსათვის.

აქ ვიხილეთ ნამდვილი ხელოვნების ზეიმი.

მადლობა მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს, რომელთა ხელშეწყობით ფუნქციონირებს სახელოვნებო ანსამბლები და წარმატებებსაც აღწევენ“.

უამრავი მოსაფერებელ-შესაქებარი სიტყვა ითქვა სცენაზე, იყო სიყვარულის გაცხადება.

გოჩამ მადლობა გადაუხადა სტუმრებს, შეკრებილ საზოგადოებას, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, კულტურისა და სახელოვნებო სამსახურებს თანადგომისათვის, კონცერტის მონაწილე ანსამბლებს და მის თითოეულ წევრს.

„ბედნიერი ვარ, რომ ამ ქალბატონის გვერდით მარგუნა უფალმა ცხოვრება და საქმიანობა“...

იუბილარი, ქალბატონი ირინა კი იმ მოკლე სამადლობელით შემოიფარგლა სათაურში რომ წაიკითხეთ.

კონცერტში მონაწილეობდნენ ქორეოგრაფიული ანსამბლები: „იმერეთი“, ჯეოგენი“, „საპოვნელა“, მომღერალთა ანსამბლი „მასპინძელო“, ლოტბარი ინეზა ბუცხრიკიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი ბესო გოგოლაშვილი.

საიუბილეო საღამოს საკონცერტო ნომრის შემსრულებელთა შორის იყო ია ჭარხალაშვილი, მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ორკესტრის მსახიობი, ზაქარია ფალიაშვილის მე-2, სამუსიკო სკოლის პედაგოგი, მევიოლინე.

ეს იყო მაღალ დონეზე მომზადებული ღონისძიება თვით იუბილარის ოჯახის და რეჟისორ მამუკა ცერცვაძის მიერ, მისივე გახმოვანებით.

სცენა გააფორმა **რენადა აბჟანდაძემ.**

საიუბილეო საღამოს უძღვებოდა **ნატა ცხადაძე.**

ყველაფერი იყო ძალიან ლამაზი და ამაღლებული, იუბილარმა ქალბატონმა ეს ნამდვილად დაიმსახურა.

მზია ცქიფურიშვილი

თერჯოლელმა მოჭადრაკეებმა ამჯერადაც იყოჩაღეს!

„თერჯოლის“ მიმდინარე წლის 1 მაისის ნომერში მკითხველს ვაუწყეთ ჭადრაკში იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობდნენ თერჯოლის ა(ა)იპ სპორტული სკოლის მოჭადრაკეები. მაშინ მოგაწოდეთ ინფორმაცია ამ სკოლის მწვრთნელის მერი ჩაფიჩაძის ჯგუფის შესახებ, ამჯერად მოგითხრობთ ამ ტურნირზე და ასევე აპრილის თვეში გამართულ სხვადასხვა ტურნირში ამავე სკოლის მწვრთნელის გია ჭუმბურიძის ჯგუფის მიღწეულ შედეგებზე.

ქ. ქუთაისში გაიმართა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 350 მონაწილეზე მეტი, როგორც იმერეთიდან, ასევე რაჭა-ლეჩხუმიდან და გურიიდან.

ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს თერჯოლის სპორტული სკოლის წარმომადგენლებმა, მეოთხე თანრიგოსან გოგონათა შორის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ქრისტინე ქათამაძე (საზანოს საჯარო სკოლა), მეხუთე თანრიგოსან გოგონათა შორის ვიცე ჩემპიონი გახდა თამარ კლდიაშვილი (ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა). ტურნირის ჩემპიონები კი გახდნენ მეოთხე თანრიგოსან გოგონათა შორის ტაისია ტყავაძე (კერძო სკოლა „მზეკაბანი“) და ასევე ტურნირის ჩემპიონობა იზეიმა მეხუთე თანრიგოსან გოგონათა შორის 7-დან 7 ქულით ქეთევან კლდიაშვილმა (ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა).

ასევე წარმატებით იასპარეზა იმერეთის ჩემპიონატზე ასაკობრივ კატეგორიაში ტაისია ტყავაძემ, 12 წლამდე გოგონათა შორის 7 შესაძლებლობიდან მან მოიპოვა 5 ქულა და გახდა ბრინჯაოს პრიზიორი.

1-5 აპრილს, ქალაქ ლანჩხუთში, გაიმართა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი „ნოე ჟორდანიას თასი—2026“, სადაც მონაწილეობას ღებულობდა ექვსი ქვეყნის 400-მდე მოჭადრაკე. აღნიშნულ ტურნირზე 10 წლამდე გოგონათა შორის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ქრისტინე ქათამაძე (საზანოს საჯარო სკოლა). გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, დიპლომებითა და ფულადი პრიზებით.

26 აპრილს, ქალაქ ზესტაფონში გამართულ საჭადრაკო ტურნირზე წარმატებული გამოსვლა ჰქონდათ თერჯოლის სპორტული სკოლის მოსწავლეებს. ქალთა შორის აბსოლუტურ ასაკში, სადაც ასაკი შეუზღუდავია მესამე ადგილზე გავიდა ტაისია ტყავაძე (კერძო სკოლა „მზეკაბანი“), რომელიც ჯერ კიდევ 12 წლისაა.

8 წლამდე გოგონათა შორის მეორე ადგილზე გავიდა ლილიანა ტყავაძე.

10 წლამდე გოგონათა შორის ვიცე ჩემპიონი გახდა მარიამ კლდიაშვილი, ტურნირის ჩემპიონი და პირველი ადგილის მფლობელი გახდა ქრისტინე ქათამაძე.

ვულოცავთ ჩვენს მოჭადრაკეებს და მათ მწვრთნელს ეროვნული ოსტატობის კანდიდატს ჭადრაკში გია ჭუმბურიძეს და ვუსურვებთ ახალი საჭადრაკო სიმაღლეების დაპყრობას.

ჭადრაკი სკოლაში

„ნონა გაფრინდაშვილის თასი“

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივით საქართველოში ტარდება საქართველოს მესამე სასკოლო ოლიმპიადის პირველი ეტაპი.

28 მარტს თერჯოლაში ჩატარდა რაიონული პირველობა ჭადრაკში „ნონა გაფრინდაშვილის თასი“ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირველ და მე-2 კლასის მოსწავლეთა შორის (გუნდური).

ტურნირში მონაწილეობას ღებულობდა თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, თერჯოლის №2 საჯარო სკოლა, შპს „მზეკაბანი 2007“, სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლა, სოფელ ეწრის საჯარო სკოლა. ტურნირი მიმდინარეობდა ოლიმპიური სისტემით და გამარჯვებული გუნდი გახდა თერჯოლის №2 საჯარო სკოლა. ამ გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი და მონაწილეობას მიიღებს რეგიონულ ტურნირში, რომელიც გაიმართება ქ. ქუთაისში. გუნდის შემადგენლობას იცავდნენ: ანდრია აბესაძე, იოანე ცხოვრებაძე, ჯუბა მაკარიძე, სოსო ნერგაძე. გუნდის კაპიტანი ნონა კუპატაძე.

რაიონულ პირველობაზე I ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან დიპლომებით. ტურნირის ყველა მონაწილეს გადაეცა ელექტრონული სიგელი.

წარმატებები ნორჩ მოჭადრაკეებს.

მერი ჩაფიჩაძე,
შეჯიბრების (ტურნირის) მსაჯი, ეროვნული ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში

ზესტაფონის საგაზაფხულო ტურნირზე

მიმდინარე წლის 26 აპრილს, ზესტაფონში ჩატარდა პირველი საგაზაფხულო ტურნირი ჭადრაკში. ორგანიზატორები ზესტაფონის ჭადრაკის ფედერაცია და საჭადრაკო კლუბი „ზესტაფონი“.

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას ღებულობდა 80 მოჭადრაკე სხვადასხვა კატეგორიაში. მათ შორის თერჯოლის სპორტული სკოლის ჭადრაკის წრის 13 მოჭადრაკე, მწვრთნელი ეროვნული ოსტატობის კანდიდატი მერი ჩაფიჩაძე.

ასაკობრივ კატეგორიაში 14 წლამდე ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი დაიკავა გეგა გაბრიჭიძემ (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა), 10 წლამდე გოგონათა შორის მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა მართა კუტალაძემ, (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა).

8 წლამდე გოგონათა შორის მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა მარიამ ლილუაშვილმა (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა).

წარმატებით გამოვიდა 6 წლის იოანე მემანიშვილი (ახალთერჯოლის სკოლა), რომელიც თამაშობდა 8 წლამდე ჭაბუკთა 20 მონაწილეთა შორის და დაიკავა მე-4 ადგილი.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებითა და თასებით.

ახალი წარმატებები მწვრთნელს და მის აღსაზრდელებს.

სამუსიკო სკოლაში—კედლებიც გიღიმიან თითქოს

საოცარი, დაუვიწყარი დღე ჰქონდათ 29 აპრილს თერჯოლის სამუსიკო საგანმანათლებლო სკოლის აღსაზრდელებს, პედაგოგებს, აღსაზრდელთა მშობლებს და მოწვეულ სტუმრებს.

თანამედროვე სტანდარტების მიხედვით განახლებულ სკოლის საკონცერტო დარბაზში, სკოლის აღსაზრდელთა პირველ კონცერტზე, სადაც სითბო, სილამაზე და სიყვარული დავანებულა, სადაც კედლებიც გიღიმიან თითქოს, ყველა სკამი დაკავებულია და კონცერტის მოლოდინიც ერთგვარი სიამოვნებაა.

განწყობა ამაღლებულია, დარბაზში მაყურებელთა რიგებს უერთდებიან მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე და საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე, მოადგილეებთან და საჯარო სამსახურის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად. აქ არის აგრეთვე მამა ანდრია (ყიფიანი) ღვანკითის ტაძრის მოძღვარი.

სკოლის დირექტორის ვალერი კუბლაშვილის სტუმრების მისალმებისა და მადლიერების გამოხატვის შემდეგ, ყველა ერთად წუთიერი დუმილით პატივს მიაგებენ ახლახან გარდაცვლილი სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგების რუბენ რობაქიძისა და ნაზი კუბლაშვილის ხსოვნას.

დირექტორი შემდეგ საუბრობს მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელთა მიერ გულისხმიერებასა და თანადგომაზე, რომელიც გამოიხატა როგორც სკოლის შენობის შიდა და გარე ინფრასტრუქტურის განახლებასა და კეთილმოწყობაში, ასევე მიმდინარე სასწავლო წლიდან სკოლის სასწავლო პროგრამაში სიახლეების დანერგვაში.

ფორტეპიანოსთან და გიტარასთან ერთად სამუსიკო სკოლაში მოსწავლეებს უკვე შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ ვიოლინოსა და დოლის შემსწავლელ ჯგუფებში, რომელსაც უამრავი მსურველი გამოუჩნდა.

ვიდრე კონცერტი დაიწყებოდა სკოლის დირექტორმა, დიპლომების სახით, ჯილდოები გადასცა მოსწავლეებს: ელენე ბარბაქაძეს, ციცო გრძელიშვილის კლასი და თეკლა ხუჯაძეს, ლელა ცხადაძის კლასი, ზესტაფონში გამართულ ქართული კლასიკური მუსიკის ფესტივალში წარმატებული მონაწილეობისათვის.

შემდეგ უკვე კონცერტის წამყვანმა, სკოლის პედაგოგმა ნორა პერანიძემ სცენაზე მოიწვია IV კლასის მოსწავლე მარიამ ზამბახიძე, სიმღერით „შენს გაზაფხულზე მამულო“, პედაგოგ გულთამზე კუბლაშვილის კლასი. გოგონამ აპლოდისმენტები დაიმსახურა. შემდეგ კი სიმღერისა და მუსიკალური ნაწარმოებების მაღალ დონეზე შესრულებით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ფორტეპიანოსთან: თეკლა მარუაშვილი, მართა კუტალაძე, ბარბარე გიორგაძე, ნინია ბუსკივაძე, დაჩი საყვარელიძე, ნიკა ხუციშვილი, სოფია ცხადაია, ელენე ბარბაქაძე, მარიამ რობაქიძე, ანამარია კვატაია, ნინი ხუჯაძე, მათე სირბილაძე, საბა და ანასტასია ჩუბინიძეები, ნანა სოფრომაძე (პედაგოგები: ცხადაძე, ჯიშკარიანი, ყურაშვილი, არაბიძე, ჯიხაევა, გრძელიშვილი, პერანიძე). სიმღერები შეასრულეს, მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურეს აგრეთვე დათა ქარქაშაძემ, ნანა სოფრომაძემ და მათე სირბილაძემ, მარიამ გვენეტაძემ (პედაგოგი გულთამზე კუბლაშვილი), სოლო სიმღერის განყოფილების მოსწავლეებმა (პედაგოგი მაკა კუტიეაძე), თეონა ზაქარაშვილმა და მარი ქოჩიაშვილმა, გიტარის განყოფილების მოსწავლეებმა (პედაგოგი ვალია სახელაშვილი) და ხალხურ საკრავთა ანსამბლმა (პედაგოგი რამაზ მემანიშვილი).

ქართველ კომპოზიტორთა მუსიკალურმა ნაწარმოებებმა, სიმღერებმა, რომლებსაც პატარა მუსიკოსები თუ მომღერლები დიდი მონდომებითა და კარგად მომზადებულები წარმოადგენდნენ დარბაზში ემოციურ და სასიამოვნო გარემოს ჰქმნიდა, იყო ყვავილების გადაცემა, ფოტოებისა და ვიდეოების გადაღებები...

კონცერტზე შესრულდა მხოლოდ ქართველი კომპოზიტორების: მერაბიშვილის, ლომდარიძის, გიგაურის, ცაბაძის, კახიძის, ყანჩელის, კერესელიძის და სხვათა ნაწარმოებები.

აი, ასე ლამაზად, ეროვნულ ფესვებზე და გემოვნებიან მუსიკაზე იზრდებიან მოსწავლეები სამუსიკო სკოლაში, სადაც დღეს უფრო მეტი მონდომება, მოტივაცია, სხვა გარემო, სითბო, სიყვარული და აკუსტიკაა—ანუ ყველა პირობაა მოსწავლეებისათვის, მათი მუსიკალური მონაცემების განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის.

„ქრისტე აღსდგა“ დალოცვილი გამყოფოთ ღმერთმა, ასე დაიწყო თავისი გამოსვლა მამა ანდრიამ (ყიფიანი), რა ბედნიერებაა ასეთი მშვენიერი კონცერტის ასეთ კომფორტულ გარემოში მოსმენა, ჩვენი ახალგაზრდების ხელოვნებასთან ზიარება.

ჩემი კავშირი ამ სკოლასთან ბავშვობიდან მოდის, მე აქ ნორა (პერანიძე) მასწავლებლის კლასში ვსწავლობდი, ნამდვილად ფუფუნება იყო ამ სკოლის მოსწავლეთა შორის ყოფნა. ჩემი მადლიერება თითოეულს, ვინც დღეს აქ, ამ ლამაზ ღონისძიებაში მონაწილეობს. განსაკუთრებული პატივისცემა და მადლიერება ბატონ მანუჩარს, სკოლის დღევანდელი სახე რომ ასე მიმზიდველია და საამაყო თითოეული თერჯოლელისათვის სწორედ მისი დამსახურებაა.

სოსო ჩაფიჩაძე, საკრებულოს თავმჯდომარე: მინდა დღევანდელი წარმატებული დღე მივულოცო სკოლის აღსაზრდელებს, პედაგოგებს, დირექციას. მე კარგად მახსოვს ჩემი მოსწავლეობისას, აქ, 7 კლასი დავამთავრე, როგორ გარემოში გვიხდებოდა სწავლა, დღეს სულ სხვაგვარია ყველაფერი. თუმცა მაშინაც საუკეთესო პედაგოგები გვყავდნენ. დიდ წარმატებებს გისურვებთ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში, რასაც სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები ერთობლივად ეწევით.

მანუჩარ რობაქიძე, მუნიციპალიტეტის მერი: თერჯოლის სამუსიკო სკოლა ერთ-ერთი თვალსაჩინო საამაყო კერაა მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის, მათი ზნეობრივი, ესთეტიკური, ხელოვნებისადმი მათი დამოკიდებულების ფორმირების საქმეში. ამ სკოლაში, სადაც 240 მოსწავლე ეზიარება მუსიკალურ განათლებას, ამასთან ერთად იძენენ უდიდეს სულიერ საზრდოს, რაც უთუოდ დიდ როლს შეასრულებს მათ ღირსეულ ადამიანებად აღზრდაში. თითოეული ზნეკეთილი და მორალურად სპეტაკი ადამიანი ხომ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი ნათელი დღეა... ამიტომ, ამ სკოლას, მუდამ ექნება ჩვენგან მხარდაჭერა. მიხარია, რომ ახალმა ნაბიჯებმა გაამართლა, ვიოლინოსა და დოლის შემსწავლელთა მსურველები იმაზე მეტი აღმოჩნდა ვიდრე გვეგონა. თუ საჭირო იქნება კონტიგენტისა და პედაგოგების დამატება ამის რესურსიც გამოინახება, მთავარია ჩვენი მომავალი თაობის სურვილები გავითვალისწინოთ“.

დასასრულს, მუნიციპალიტეტის მერმა წარმატებები უსურვა სამუსიკო სკოლას, მის თითოეულ პედაგოგსა და აღსაზრდელს და მადლობა გადაუხადა მაღალი დონის კონცერტის ჩვენებისათვის.

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** **599 92 49 75**

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** **599 91 24 14**

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:

ჟ. ცხადაძე—558 90 82 55

მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:

ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა

TRESGE22

ანგარიში

8 2633 7499

ს/კ 231948872